

საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული საქმე

ანგარიში საქმის დეტალებისა და მნიშვნელოვანი გარემოებების
შესახებ

2023 წლის 9 თებერვალი

დოკუმენტი მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ, რომელიც იცავს საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის და მისი პასტორის, ზაალ ტყემელაშვილის ინტერესებს.

ანგარიში მოცემული მონაცემები ეფუძნება საქმის მასალებსა და მტკიცებულებებს; ასევე, საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის პასტორის, ზაალ ტყემელაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

TDI არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს საქართველოში რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის, ხელშეწყობის და ადვოკატირების მიმართულებით.
<http://tdi.ge>

რეზიუმე	3
პასტორის მიმართვა	5
1. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის შესახებ	6
2. ევანგელისტური ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი	8
3. მოსარჩელე	9
4. ევანგელისტური ეკლესიის სადავო ქონება	10
5. მოსარჩელისა და მოპასუხის შეხვედრა და ურთიერთობა	12
6. მოსარჩელის საეკვო ბიზნეს ინტერესები საქართველოში	14
7. მეორე შენობა	16
8. გარემოებებისა და მოსარჩელის დამოკიდებულების ცვლილება	18
9. მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი სავარაუდოდ ყალბი დოკუმენტები	19
10. შემოწირულობები და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა	21
11. სასამართლო	22
12. კონტექსტისთვის: სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი საქართველოში	24
დანართები	27

რეზიუმე

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის და მისი პასტორის, ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმის საგანგაშო გარემოებები. ევანგელისტური ეკლესია იმ ერთადერთი სამლოცველო სახლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას, რომელიც ეკლესიის წევრების უდიდესი ძალისხმევით, ხუთი წლის განმავლობაში შენდებოდა.

ევანგელისტური ეკლესიის მრევლის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით. 2022 წლის 9 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს (მოპასუხე) დააკისრა, მოსარჩელეს გადაუხადოს წლების განმავლობაში მიღებული საეკლესიო შემოწირულობები, რომლებიც განკუთვნილი იყო ეკლესიის პირველი და ერთადერთი სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად.

არაერთი გარემოება მიანიშნებს, რომ ეს არის საეჭვო სამოქალაქო საქმის გამოყენებით პასტორის რეპუტაციის შელახვის, უსამართლობისა და თანასწორობის საკითხების შესახებ მის მიერ აზრის გამოხატვის შეზღუდვის, ევანგელისტური ეკლესიის ერთადერთი სამლოცველო სახლის წართმევის, ეკლესიის ავტონომიურობისა და დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობის წინააღმდეგ მიმართული მცდელობა.

საქმეში მოსარჩელები არიან აშშ-ის მოქალაქე ბიუნგ ჩან პარკი და აშშ-ში რეგისტრირებული მისივე ორგანიზაცია 12 Baskets. 2019 წელს, პარკმა სარჩელი შეიტანა ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა, მოპასუხეს მის სასარგებლოდ გადაეხადა ის შემოწირულობები, რომელიც მოსარჩელემ, ეკლესიის სახელით, წლების განმავლობაში შეაგროვა ქრისტიანი მორწმუნეებისგან.

ბიუნგ ჩან პარკი პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს პირველად 2014 წელს, ხოლო მეორედ 2015 წელს შეხვდა. მან პასტორს და ეკლესიის წევრებს თავი ევანგელისტ მისიონრად წარუდგინა, რომლის მიზანი საქართველოში “სახარების გავრცელება” და ადგილობრივი ევანგელური ქრისტიანების დახმარება იყო. მან მოიპოვა ევანგელისტური ეკლესიის წევრების ნდობა და მათი სახელით, საკუთარი ინიციატივით, დაიწყო შემოწირულობების შეგროვება აშშ-ის და სამხრეთ კორეის მორწმუნე ქრისტიანებს შორის, რათა დახმარებოდნენ ევანგელისტურ ეკლესიას სამლოცველო სახლის მშენებლობის დასრულებაში, რომლის ნაწილი (კედლები და სახურავი), ამ დროისთვის, უკვე აშენებული იყო. მოსარჩელე პარკმა ასევე გამოთქვა ინტერესი, ამ შემოწირულობებით აეშენებინა სოციალური საწარმო, სადაც დასაქმდებოდნენ ეკლესიის წევრები, ხოლო მიღებული მოგება მთლიანად “ღმერთის სამეფოს მშენებლობას” მოხმარდებოდა.

მოსარჩელე პარკი წლების განმავლობაში კმაყოფილი ჩანდა საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიასთან ურთიერთობით, ჩამოდიოდა და სტუმრობდა ეკლესიას, ცხოვრობდა ეკლესიის ტერიტორიაზე თვეების განმავლობაში, პატიჟებდა და მასპინძლობდა საკუთარ უცხოელ სტუმრებს და მონაწილეობდა ეკლესიის რელიგიურ მსახურებებში.

2018 წლის დასაწყისში, როცა ეკლესიის ორივე ნაგებობის მშენებლობა, რომლებზეც დაობს მოსარჩელე, უკვე დასრულებული იყო, მოულოდნელად შეიცვალა მისი დამოკიდებულება პასტორისა და ეკლესიის მიმართ. ამ პერიოდში მას უკავშირდებოდნენ გარკვეული პირები, რამაც სავარაუდოდ გავლენა იქონია მის ქმედებებზე. პარკმა დაიწყო მტკიცება, რომ საქართველოს ევანგელისტური ეკლესია სინამდვილეში არ წარმოადგენდა ეკლესიას, რადგან მას არ ჰქონდა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და რომ პასტორი ზაალ ტყემელაშვილი არ იყო ნამდვილი სასულიერო პირი.

საქმის მასალების დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოსარჩელე პარკი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და საკუთარი ბუნდოვანი ფინანსური და ბიზნეს საქმიანობისთვის იყენებდა რელიგიურ გაერთიანებებს. საქმეს ახლავს მოსარჩელის მიერ წარდგენილი სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტების ასლებიც, რომლებზეც დატანილია აშშ-ის ნოტარიუსის ბეჭედი. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტები საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო სისტემამ არა მხოლოდ უგულვებელყო, არამედ სასამართლომ ეკლესიისა და მისი პასტორისთვის საზიანო გადაწყვეტილების მისაღებადც გამოიყენა. რაც შეეხება მის ორგანიზაციას, 12 Baskets-ს, საყურადღებოა, რომ აშშ-ის კორპორაციებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სარეგისტრაციო სისტემაში ეს ორგანიზაცია დახურულია სახელმწიფოსთვის წლების განმავლობაში წლიური ანგარიშების წარუდგენლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე პარკის 4 სასარჩელო მოთხოვნიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ, **2022 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილს მოსარჩელე პარკისთვის 90,000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.** 2023 წლის 30 იანვარს პასტორმა ზაალ ტყემელაშვილმა ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქართველოს ევანგელისტური ეკლესია და მისი პასტორები ზაალ და ნინო ტყემელაშვილები ყოველთვის ღიად საუბრობდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე. როგორც ჩანს, ეკლესიისა და პასტორების გამბედაობა, დამოუკიდებლობა და ობიექტური შეხედულებები, არ არის ხელისუფლების ინტერესებში, რომელიც მუდმივად და საგანგაშოდ ზრდის წნეხს არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებზე და ცდილობს მათი ავტონომიურობის განადგურებას.

მიმდინარე წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი სამოქალაქო დავა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლა აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული კამპანია მათი გაჩუმებისა და ეკლესიის ქონებისა და დამოუკიდებლობის წართმევის მიზნით.

პასტორის მიმართვა

“საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წევრთა გაერთიანებულ შეკრებაზე ყველამ შეურაცხყოფად და უკანონოდ მიიღო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ეკლესია თვლის, რომ სასამართლომ არგუმენტებისაგან სრულიად დაცლილი განაჩენი გამოიტანა და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლა ზეწოლის შედეგია.

ეკლესიას აქვს სამართლიანი პროტესტი და ის არ დაექვემდებარება აღნიშნულ უკანონო გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უზენაესი სასამართლო ძალაში დატოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

თუ სახელმწიფო წაგვართმევს ჩვენს სამლოცველო სახლს, ჩავთვლით, რომ ის საბჭოური მეთოდებით ზღუდავს ჩვენი რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, ჩვენს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას, ჩვენს პატივსა და ღირსებას, ლახავს ჩვენს საქმიან რეპუტაციას.

სასამართლოს ამ უკანონო გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო შეკრა ჩვენი ეკლესია და ვაგრძელებთ ბრძოლას ჩვენი იმ ფუნდამენტური უფლებების მოსაპოვებლად, რომელიც მოცემული გვაქვს ღმერთისაგან და გარანტირებული გვაქვს საქართველოს კონსტიტუციით.“

პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი
საქართველოს ევანგელისტური ეკლესია

1. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის შესახებ¹

საქართველოს ევანგელისტური ეკლესია (სეე), წარმოადგენს ევანგელურ ეკლესიათა დიდი ოჯახის ნაწილს. ეკლესიის ამჟამინდელი პასტორი, ზაალ ტყეშელაშვილი, ახალგაზრდულ ასაკში კომუნისტური რეჟიმის მხრიდან იდევნებოდა, რადგან ის ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის აქტიური წევრი იყო. კომუნისტურ ეპოქაში პასტორი ზაალი გამოსცემდა იატაკქვეშა ევანგელურ გაზეთს „საქართველოს მახარებელი“.

მოსკოვის „ღმერთის ასამბლეის“ თეოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1996 წელს, პასტორმა ზაალმა თავის მეუღლესთან, ნინო ტყეშელაშვილთან ერთად, თბილისში დააარსა საქართველოს ევანგელისტური ეკლესია.



პასტორი ზაალი და მისი მეუღლე, პასტორი ნინო, თავიანთ შვილ შორენასთან ერთად, 2022

ეს იყო რთული პერიოდი, განსაკუთრებით რელიგიური უმცირესობებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გათავისუფლებულ დამოუკიდებელ საქართველოში, ჯერ არ იყო დემოკრატიული ინსტიტუტები და ძალას იკრებდა რელიგიური ნაციონალიზმი.

1996 წლიდან, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია საკვირაო მსახურებებს ატარებდა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის პასტორის კუთვნილ კორპუსის ბინაში ან ქირაობდა სხვადასხვა დარბაზს. ეკლესია აწყდებოდა სირთულეებს, რადგან არ ჰქონდა საკუთრებაში

¹ საქართველოს ევანგელისტური ეკლესია:

ვებგვერდი: <https://evangelical.ge/>

Youtube: <https://www.youtube.com/@pastorzechariahzaaldeborah3925>

Facebook: <https://www.facebook.com/pastorzaal>

არსებული მუდმივი შესაკრებელი ადგილი. ხშირ შემთხვევაში ეკლესიისათვის შეუძლებელი ხდებოდა დასაქირავებელი დარბაზის პოვნა, რადგან არავის სურდა „რელიგიურ უმცირესობებთან“ ურთიერთობა. 2012 წელს, ეკლესიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაიწყო სამლოცველო სახლის მშენებლობა და დაასრულა 2017 წელს.

დამოუკიდებელ საქართველოში, ევანგელისტური ეკლესია იყო პირველი, რომელმაც სამართლებრივი გზით იბრძოლა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისათვის. 1999-2002 წლებში, პასტორი ზაალი და ევანგელისტური ეკლესია განიცდიდა დევნას.² მათ გაიარეს ყველა ინსტანციის სასამართლო პროცესები კორუმპირებული პოლიციური სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც ფანატიკურად განწყობილ პიროვნებებთან ერთად დაარბია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მრევლს გარე სივრცეში მახარებლობის გამო. ეს მძიმე პროცესები აღწერილია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, Amnesty International-ის, Human Rights Watch-ის და იმდროინდელ ყველა შესაბამის საერთაშორისო ანგარიშში.³ ასევე, რელიგიური გაერთიანება, მოსარჩელის სტატუსით, მონაწილეობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, სადაც, 2002 წელს არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმები.⁴

მომალადე რეჟიმის მიმართ ასეთი შეწინააღმდეგება ფართოდ იყო გაშუქებული მედიაში, რომელმაც შექმნა ბრძოლის კარგი პრეცედენტი ფუნდამენტური უფლებების მოსაპოვებლად, მათ შორის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისათვის, ასევე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია და პასტორი ზაალ ტყემელაშვილი ღიად გამოხატავდა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას უსამართლობის

² ვიდეო აღწერს ევანგელისტური ეკლესიის მიმართ ძალადობას და დევნას, 2002

<https://youtu.be/DyuESHlgbns>

ვიდეო პოლიციის მხრიდან ძალადობისა და სასამართლო პროცესების შესახებ <https://youtu.be/W7SipF6xYl4>

³ “Several members of another evangelical group... were beaten and abused verbally by police officials while conducting outdoor services in the Gldani region of Tbilisi in May 1999...The group alleged that the leader of a radical Orthodox group exerted pressure on the court. The appeal was pending in the Supreme Court as of June 30, 2000” - 2000 Annual Report on International Religious Freedom: Georgia, U.S. Department of State, September 5, 2000

“On 29 May police from the Gldani district of Tbilisi, the Georgian capital, forcibly broke up an open-air meeting of an evangelical Christian group. Church members allege that police beat several peaceful worshippers, including the pastor, Zaal Tkeshelashvili and his wife Nino. To Amnesty International's knowledge no criminal charges were opened in connection with the alleged assaults...” - Amnesty International - Report - EUR 56/01/00, February 2000, Georgia

ასევე იხ. Human Rights Watch, *World Report 2001: Georgia* and Human Rights Watch, *Memorandum to the U.S. Government on Religious Violence in the Republic of Georgia, 2001*

⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=241>

და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვასთან დაკავშირებით.⁵ ევანგელისტური ეკლესია არის საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, ასევე აქტიური წევრი 2005 წლიდან და სხვა რელიგიური თემების მხარდამხარ ამ ინტერ-რელიგიური პლატფორმიდანაც იბრძვის საქართველოში ყველა რელიგიური გაერთიანების უფლებებისათვის.

როგორც ჩანს, ეკლესიისა და პასტორის გამბედაობა, დამოუკიდებლობა და ობიექტური შეხედულებები, არ არის ხელისუფლების ინტერესებში, რომელიც მუდმივად და საგანგაშოდ ზრდის წნეხს არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებზე და ცდილობს მათი ავტონომიურობის განადგურებას.



საკვირაო მსახურება საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიაში, 2022

საკვირაო მსახურება სეუ-ში: საბავშვო წარმოდგენა, 2022

2. ევანგელისტური ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი

2005 წლამდე, რელიგიურ ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, არ ჰქონდათ რაიმე ფორმით რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა. მხოლოდ 2005 წელს მიეცათ რელიგიურ გაერთიანებებს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დარეგისტრირების უფლება. ამის პარალელურად კი, მართლმადიდებელი ეკლესია 2002 წლიდან სარგებლობდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. მოგვიანებით, 2011 წელს, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსში და ყველა რელიგიურ გაერთიანებას მიენიჭა არჩევანის შესაძლებლობა, დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის

⁵ პასტორი ზაალი საუბრობს რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობასა და სახელმწიფოს მიერ ამ უფლების არალეგიტიმური შეზღუდვის საფრთხეებზე https://youtu.be/C1P7g2_valw
პასტორ ზაალ ტყემელაშვილის საჯარო ინტერვიუები <https://youtu.be/j8ViQoLVA7M>

იურიდიული პირის ფორმით ან, სურვილის შემთხვევაში, საქმიანობა განახორციელონ რეგისტრაციის გარეშე.

დღეისათვის, ეკლესიის წევრების გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური უმცირესობების ავტონომიურობაში ჩარევის მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია არსებობს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე. ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით. მიუხედავად რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული სტატუსისა, რელიგიური გაერთიანებები და მისი წევრები თანაბრად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა სარგებლობდნენ რწმენისა და რელიგიის თავისუფლებით და სხვა ფუნდამენტური უფლებებით.⁶

3. მოსარჩელე

მოსარჩელე არის აშშ-ის მოქალაქე ბიუნგ ჩან პარკი (Byung Chan Park). იგი სავარაუდოდ ეწევა ბიზნესს, საქველმოქმედო/მისიონერულ საქმიანობას.

მეორე მოსარჩელე არის არაკომერციული ორგანიზაცია 12 Baskets (12 გოდორი), რომელიც მოსარჩელე პარკს ეკუთვნის. ამ ორგანიზაციის სახელით პარკი მოპასუხისგან ითხოვს 60,000 აშშ დოლარს - ორგანიზაციიდან გადმორიცხულ შემოწირულობას, რომელიც საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის მშენებლობის დასრულებას მოხმარდა. დანარჩენ თანხას, 139,032 აშშ დოლარს კი ბიუნგ ჩან პარკი საკუთარი სახელით ითხოვს.

მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა “12 Baskets-ის არსებობის სერთიფიკატი”. ამ სერთიფიკატის თანახმად, ბიუნგ ჩან პარკი არის ორგანიზაცია 12 Baskets-ის დამფუძნებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში (9701 SOUTH TACOMA WAY STE 125, LAKEWOOD, WA, 98499, USA; UBI Number: 603069719).

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის ვაშინგტონის შტატის კორპორაციებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სისტემის (<https://ccfs.sos.wa.gov/#/Home>) მონაცემებით, ექვეშ დგება 12 Baskets-ის კეთილსინდისიერების, უფლებამოსილების და მისი მიზნების საკითხიც. კერძოდ:

- 2013-2020 წლებში, ორგანიზაცია “12 Baskets” სამჯერ არის გაუქმებული და აღდგენილი;

⁶ იხ. სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიური და სარწმუნოებრივი თემების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, OSCE/ODIHR, 2014.

- ორგანიზაცია აღდგენილია 07/02/2013-ში და ბოლო წლიური ანგარიში სახელმწიფოსთვის წარდგენილი აქვს 01/07/2015 წელს, ვიდრე ხელახლა გაუქმდებოდა 04/01/2016 წელს;
- ხაზგასასმელია, რომ ორგანიზაცია 12 Baskets-ისგან მოსარჩელემ მოპასუხის ანგარიშზე თანხა ჩარიცხა 2015 წლის 29 ოქტომბერს, ზუსტად იმ მოკლე პერიოდში, როდესაც პარკის ორგანიზაცია აღდგენილი იყო, მის მომდევნო გაუქმებამდე 2016 წლის აპრილში;
- 12 Baskets გაუქმებული რჩებოდა 09/21/2018-მდე;
- ეს ორგანიზაცია კვლავ აღადგინეს 09/21/2018-ში, რამდენიმე თვით ადრე მოსარჩელის მიერ პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე; ხოლო 05/03/2020 ორგანიზაცია კვლავ გაუქმდა;
- 12 Baskets-მა სახელმწიფოს არ წარუდგინა წლიური ანგარიშები 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021 და 2022 წლებში;
- 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, აშშ-ის ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, ორგანიზაცია “ადმინისტრაციულად გაუქმებულია”.

4. ევანგელისტური ეკლესიის სადავო ქონება

2012 წელს, გაცილებით ადრე, ვიდრე მოსარჩელე და მოპასუხე ერთმანეთს გაიცნობდნენ, საქართველოს ევანგელისტურმა ეკლესიამ შეიძინა 900 მ2 მიწის ნაკვეთი სამლოცველო სახლის ასაშენებლად.⁷ ეკლესია თბილისში, გლდანის რაიონში მდებარეობს.

2013 წელს ზაალ ტყეშელაშვილმა თბილისის მერიისგან მიიღო მშენებლობის ნებართვა და რელიგიურმა თემმა დაიწყო ეკლესიის მშენებლობა (პირველი შენობა) - ასევე გაცილებით ადრე, ვიდრე მოსარჩელე და მოპასუხე ერთმანეთს გაიცნობდნენ. სამლოცველო სახლის მშენებლობა 2017 წელს დასრულდა.



⁷ 2012 წელს, 900 მ2 მიწის შეძენის დროს, მისი საკადასტრო კოდი იყო 72.13.27.610, ხოლო ამჟამინდელი საკადასტრო კოდია 72.13.45.612, მიწის ამჟამინდელი საერთო ფართობი კი 1157 მ2

ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის მშენებლობა დასრულდა, 2017 წ.

ამჟამად, ეკლესია ამ ნაგებობას იყენებს საკვირაო, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და სხვა რელიგიური შინაარსის საქმიანობისთვის.

2017 წლის ივლისში ზაალ ტყეშელაშვილმა მიიღო დამატებითი მშენებლობის ნებართვა ეკლესიის მრავალფუნქციური მიზნებისთვის განკუთვნილი მეორე, შედარებით მცირე ზომის ნაგებობის ასაშენებლად. მეორე ნაგებობის მშენებლობა 2018 წელს დასრულდა.

ორივე შენობა განთავსებულია 2012 წელს შეძენილ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე და მათ შორის დისტანცია მხოლოდ 6 მეტრია.



ევანგელისტური ეკლესიის პირველი და მეორე შენობა, მდებარეობს იმავე მიწის ნაკვეთზე და მათ შორის მანძილი 6 მეტრია. ფოტო 2022

ვინაიდან ევანგელისტური ეკლესია რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირებს, ეკლესიის წევრთა გადაწყვეტილებით, საეკლესიო ქონება ფორმალურად პასტორის სახელზეა რეგისტრირებული.

სწორედ ეს ორი შენობაა ეკლესიის და მისი პასტორის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო საქმის დავის საგანი. ამ სამართალწარმოების გამო, ევანგელისტური ეკლესიის ქონება (ორივე შენობა და მიწა), ასევე პასტორ ზაალის პირადი საცხოვრებელი ბინა, რომელსაც ის 2000 წლიდან ფლობს და სადაც მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობს, დაყადაღებულია.



ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის (ორივე შენობა) გარე ხედი, დასრულებული მშენებლობა. ფოტო 2022

5. მოსარჩელისა და მოპასუხის შეხვედრა და ურთიერთობა

2014 წელს, სამხრეთ კორეელ და ამერიკელ მორწმუნეთა ჯგუფი მოკლე ვიზიტით ესტუმრა საქართველოს და მოინახულა სხვადასხვა ევანგელური ეკლესიები თბილისში, ბათუმში, რუსთავში და ა.შ. ამ ჯგუფში იყო მოსარჩელეც, ბუინგ ჩან პარკი. ამ ვიზიტისას, ეს ჯგუფი ერთხელ დაესწრო ევანგელისტური ეკლესიის მსახურებას, რომელიც ტარდებოდა ზაალ ტყემელაშვილის საკუთრებაში არსებულ კორპუსის ბინაში. ამ უცხოელ მორწმუნეთა ჯგუფისა და ევანგელისტური ეკლესიის მრევლის შეხვედრას მხოლოდ გაცნობითი, რელიგიური ხასიათი ჰქონდა. მოპასუხემ და მოსარჩელემ გაცვალეს ელექტრონული ფოსტის მისამართები.

შემდეგი შეხვედრა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა 2015 წელს, როდესაც 20-28 იანვარს, პარკი მორიგი ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში, სხვა, ქ. რუსთავის დამოუკიდებელ ევანგელურ ეკლესიაში. აღნიშნული ვიზიტის დროს, მოსარჩელემ გამოთქვა სურვილი კვლავ შეხვედროდა საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წარმომადგენლებს. ამ დროს პარკმა პირველად ნახა ევანგელისტური ეკლესიის მიწის ნაკვეთი და მასზე მშენებარე სამლოცველო სახლი. ამ შეხვედრის ინიციატორი იყო თავად მოსარჩელე. მხარეებს შორის ურთიერთობა ამჟერადაც მხოლოდ რელიგიური შინაარსის იყო. (მტკიცებულებები და შესაბამისი კორესპონდენციები წარდგენილია სასამართლოში და ახლავს საქმეს).



ევანგელისტური ეკლესიის მშენებლობა, 2014 წლის დეკემბერი

ამ დროისათვის, სამლოცველო სახლის სახურავი და კედლები უკვე დასრულებული იყო. ამას ადასტურებს მერიის არქიტექტურის სამსახურიდან გამოთხოვილი ფოტოები, რომელიც ჩართულია სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში. ეკლესიის ეს ძირითადი შენობა, სამლოცველო სახლი (I შენობა), ამ კონდიციამდე მიყვანილი იყო მოსარჩელის და მისი მეგობრების ყოველგვარი მონაწილეობის და დონაციის გარეშე. ამასთან ერთად, მოპასუხეს არასოდეს უთხოვია მოსარჩელისათვის რაიმე დახმარება. პირიქით, მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ ნახა ეკლესიის მშენებლობა და დაბრუნდა ამერიკაში, 2015 წლის 31 იანვრის წერილში ის გამოხატავს თავის სურვილს, ითანამშრომლოს საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიასთან „სახარების გავრცელების“ ხელშესაწყობად.

2015 წლის დეკემბრიდან მოსარჩელემ საკუთარი ინიციატივით (მოპასუხის თანხმობით) დაიწყო შემოწირულობების შეგროვება ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად. ამ მიზნით, მან დაიწყო საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის მშენებლობის შესახებ საინფორმაციო კამპანია და გაავრცელა ფლაერები მშენებარე სამლოცველო სახლის და პასტორ ზაალის ოჯახის სურათებით (*იხილეთ დანართი 1*), ამერიკისა და სამხრეთ კორეის ეკლესიებში, რათა მოეზიდა დამატებითი შემოწირულობები. მოპასუხისათვის უცნობია, რა რაოდენობის თანხა შეაგროვა მოსარჩელემ ქრისტიანებისაგან საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის დახმარების სახელით.

საგულისხმოა, რომ ამერიკის და სამხრეთ კორეის ქრისტიანების მიერ საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისათვის გაღებული შემოწირულობების უმეტესი ნაწილი გადმორიცხულია ანგარიშებიდან, რომელიც არ ეკუთვნის მოსარჩელეს. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისათვის შემოწირული დონაციების დაახლოებით 90% გადმორიცხულია სამხრეთ კორეელი პასტორების პირადი ანგარიშებიდან და აშშ-ში რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია 12 Baskets-გან, ხოლო 10% - მოსარჩელის პირადი ანგარიშიდან.

6. მოსარჩელის საეჭვო ბიზნეს ინტერესები საქართველოში

მოსარჩელე ცდილობდა, დაერწმუნებინა ეკლესიის წევრები, რომ მას აქვს ბიზნესის უნარები და სურს, დაეხმაროს ეკლესიას სახარების გავრცელებაში. კერძოდ, ის გეგმავდა შეესყიდა მიწა და აეშენებინა საწარმო, სადაც დაასაქმებდა საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის მრევლს, ხოლო შემოსავალი სრულად მოხმარდებოდა “ღმერთის სამეფოს მშენებლობას”.

როგორც მოგვიანებით გახდა ნათელი, მოსარჩელე პარკს ბიზნეს ინტერესები საქართველოში უფრო ადრეც ჰქონდა, ვიდრე ის 2014 წელს პირველად შეხვდებოდა მოპასუხეს. კერძოდ, 2013 წლიდან მოსარჩელე მოკლე ვიზიტებით ჩამოდიოდა საქართველოში და ურთიერთობდა ქ. რუსთავში არსებულ სხვა დამოუკიდებელ ევანგელურ ეკლესიასთან. სარჩელში წერია, რომ 2013 წელს მან ჩამოიტანა სამანქანო დანადგარები კორეული ბატიბუტის ბიზნესის დასაწყებად და ადამიანების დასასაქმებლად.

სარჩელში და ასევე სასამართლო პროცესის წარმოებისას, მოსარჩელე და მისი ადვოკატები შეეცადნენ ფაქტების ფალსიფიცირებას. მათ სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტებიც კი წარმოადგინეს (იხ. ქვეთავი 9) და შეეცადნენ ისე წარმოეჩინათ, თითქოს მოსარჩელემ ბატი-ბუტის წარმოების ბიზნესი პასტორ ზაალ ტყემელაშვილთან ერთად დაიწყო და არა აბსოლუტურად სხვა პირებთან. მოსარჩელე ცდილობს წარმოაჩინოს რუსთავის ეკლესიასთან ურთიერთობაში განვითარებული მოვლენები საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიასთან განვითარებულ მოვლენებად.

მხოლოდ 2015 წელს, ბიზნესის წამოწყების მისი წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, მოსარჩელემ იმეილების საშუალებით დაიწყო აქტიური ურთიერთობა მოპასუხესთან. ის არწმუნებს პასტორ ზაალ ტყემელაშვილს, რომ დაეხმარება სახარების გავრცელებაში და გამოხატავს სურვილს, მხარი დაუჭიროს საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიას სამლოცველო სახლის მშენებლობის დასრულებაში. მოგვიანებით, ის ასევე წერს მოპასუხეს, რომ ეძებს მიწის ნაკვეთს ბატი-ბუტის საწარმოს ასაშენებლად და რომ დაასაქმებს მათ წევრებს, ხოლო შემოსავალს მოახმარს საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიას.

ამ მიზნით, მოსარჩელე პარკმა მის ბიზნეს პარტნიორსა და მინდობილ პირს, დაავალა თბილისში შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძებნა. ყველა მტკიცებულება, რაც თან ახლავს სასამართლო საქმეს, ადასტურებს, რომ მოპასუხე მხოლოდ მეგობრული და რელიგიური განზრახვით ეხმარებოდა პარკის მინდობილ პირს მიწის ნაკვეთის მოძიებაში. საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, ირიბიც კი, რომ პასტორ ზაალ ტყემელაშვილს ჰქონდა რაიმე ბიზნეს ურთიერთობა, ინტერესი ან პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ.

2015 წლის 22 ოქტომბრის იმეილით, მოსარჩელე პარკმა აცნობა მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილს, რომ ის ნოემბერში კვლავ აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას. ამასთან, იგი გეგმავდა მიწის ნაკვეთის შერჩევასა და შესყიდვას 80.000\$-100.000\$ ფარგლებში. ამისათვის

პარკი ზაალ ტყეშელაშვილს სთხოვს ნებართვას, ისარგებლოს მისი საბანკო ანგარიშით. კერძოდ, ამერიკიდან გამომგზავრებამდე, მოპასუხე ზაალ ტყეშელაშვილის ანგარიშზე ჩარიცხოს ზემოხსენებული თანხის ნახევარი მაინც, ხოლო შემდგომ მოპასუხემ დაუბრუნოს მას ეს თანხა. ზაალ ტყეშელაშვილი დარწმუნებული იყო, რომ მოსარჩელე პარკის განზრახვა ნამდვილად სოციალური საწარმოს მშენებლობა იყო, რომელსაც პარკი თავად განახორციელებდა და გამოიყენებდა სოციალური მიზნებისთვის. ამიტომ, მოპასუხე ზაალ ტყეშელაშვილი დასთანხმდა მოსარჩელე პარკს, მიეღო თანხა საკუთარ ანგარიშზე და სრულად დაებრუნებინა ის მოსარჩელისთვის, მიწის შეძენის, საწარმოს მშენებლობის ან რაიმე ბიზნეს ვალდებულებების აღების გარეშე.

ამ იმეღ კომუნიკაციის შემდეგ მოსარჩელემ გადარიცხა 100,000 აშშ დოღარი მოპასუხის საბანკო ანგარიშზე. რეალურად, ეს თანხა მოპასუხესთან ჩაირიცხა არა მოსარჩელის პირადი ანგარიშიდან, არამედ 40,000 აშშ დოღარი შემოწირულობა გადმოირიცხა სამხრეთ კორეელი პასტორის, ლ.ს.-ს ანგარიშიდან, ხოლო 60,000 აშშ დოღარი მოსარჩელის მიერ ამერიკაში დაფუძნებული ორგანიზაცია 12 Baskets-გან.

იმ დროისთვის მოპასუხეს არ ჰქონია რაიმე ეჭვი, რომ მოსარჩელე პარკი შესაძლოა მას და ევანგელისტურ ეკლესიას იყენებდა საეჭვო ტრანზაქციებისთვის. ეს ცხადი გახდა მოსარჩელის მიერ საკუთარი განზრახვის ღიად გამოხატვის, ასევე საქმის მასაღებისა და არაერთი მტკიცებულების შესწავლის შემდეგ.

იმავე დღეს, 2015 წლის 29 ოქტომბერს, ზაალ ტყეშელაშვილმა მისწერა მოსარჩელეს და მოსთხოვა, დაუყოვნებლივ წაეღო ჩარიცხული თანხა მისი ანგარიშიდან - რომ გადაურიცხავდა მოსარჩელეს მის ამერიკულ ანგარიშზე ან გაეხსნა ანგარიში საქართველოში და დაებრუნებინა თანხა. ამ მოთხოვნას მოსარჩელემ უპასუხა, რომ საქართველოში ჩასვლის შემდგომ მოიფიქრებდა საუკეთესო გამოსავალს.

მოსარჩელე საქართველოში 2015 წლის 4 ნოემბერს, 100,000 აშშ დოღარის გადარიცხვიდან ოთხ დღეში ჩამოვიდა და განაცხადა, რომ ამ თანხით, რომლის გამოყენებასაც მანამდე მიწის საყიდლად და საწარმოს ასაშენებლად გეგმავდა, დაეხმარებოდა ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის მშენებლობის დასრულებას.

საკუთარ იმეილ კომუნიკაციაში მოსარჩელე პარკი აღნიშნავს: *“ახლა ვკონცენტრირდეთ ღმერთის სახლის დასრულებაზე! ჩემს თანხას ამაზე მივმართავ! ... ამიერიდან აღარ არსებობს ჩემი სხვა გეგმები, სანამ მშენებლობა არ დასრულდება. მე ფოკუსირებული ვარ მხოლოდ ღმერთის სახლის ჯეროვან და ლამაზად დასრულებაზე!”* შემდეგში მოსარჩელე ხსნის, რომ მას ჰქონდა ხილვა ღმერთისაგან, შეეჩერებინა ბიზნეს გეგმა და დახმარებოდა პასტორ ზაალს ღმერთის სახლის მშენებლობის დასრულებაში: *“[ღმერთმა] მითხრა, ჩემი სახლი*

დაუსრულებელია და შენ რას აკეთებ (ეძებ მიწის ნაკვეთს), ახლა, უპირველესად აღავსე ჩემი სახლი და ამის შემდეგ დაელოდე ჩემს მითითებებს”.⁸

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოპასუხეს, ზაალ ტყემელაშვილს, არასდროს, არანაირი ფორმით არ უთხოვია მოსარჩელისთვის სამლოცველო სახლის მშენებლობაში დახმარება.

7. მეორე შენობა

მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის მშენებლობისათვის, აღარ გაეგრძელებინა მიწის ყიდვა და შესაბამისად, სოციალური საწარმოს მშენებლობა, მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის 2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის მაისამდე აღარ ყოფილა რაიმე საუბარი მიწის ყიდვაზე ან საწარმოს შესახებ.

2017 წლის იანვარში, როდესაც საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის მთავარი სამლოცველო სახლის მშენებლობის პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, მოსარჩელემ განაახლა ეკლესიის მრევლისა და მოპასუხისთვის მისი იდეების გაცნობა სოციალური საწარმოს ამოქმედების შესახებ, რომელშიც დაასაქმებდა ეკლესიის წევრებს, მიღებულ შემოსავალს შესწირავდა ეკლესიას და ამით დაეხმარებოდა “სახარების გავრცელებას”.

საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის პირველი, მთავარი სამლოცველო სახლის მშენებლობა დასრულდა 2017 წლის იანვარში, ხოლო ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა იმავე წლის 27 თებერვალს.

საწარმოს თაობაზე მხარეთა შორის პირველი კომუნიკაცია 2017 წლის აპრილ-მაისში შედგა, საქართველოში მოსარჩელის ორგანიზაციის ვიზიტის დროს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის ტერიტორიაზე ააშენებდნენ მეორე, მრავალფუნქციურ ნაგებობას, რომელიც ეკლესიის სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების განსახორციელებლად იქნებოდა გამოყენებული. მოსარჩელე ამ პროექტს აღწერდა ბიბლიური სახელით - “იაკობის ჭა”.

2017 წლის ივლისში პასტორმა ზაალ ტყემელაშვილმა მოიპოვა მეორე, შედარებით მცირე დამხმარე ნაგებობის მშენებლობის ნებართვა, რომელიც, სამომავლოდ, საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო მრავალფუნქციური დანიშნულებით. ამ ნაგებობის მშენებლობა დასრულდა 2018 წლის იანვარში. ის

⁸ მოსარჩელის მეილის ორგინალი ვერსია (ამონარიდები): “Let us focus the God’s house done at this moment! I let go my allowance of funds for this! ...There is no more my plan anymore until construction finishes. I am only focusing His house done by smoothly and nicely!” The plaintiff further explains that he had a vision from God to stop the business plans and to help Pastor Zaal to finish building God’s house: “[God] saying to me My house is undone, what are you doing (looking for the land) here right now, fill my House firsts and wait for my instructions after that!”

საქართველოს ევანგელისტურ ეკლესიას ეკუთვნის, ხოლო ფორმალურად რეგისტრირებულია მოპასუხის, ეკლესიის პასტორის სახელზე.



ევანგელისტური ეკლესიის მეორე ნაგებობის მშენებლობის პროცესი, 2017

დამხმარე, შედარებით მცირე ნაგებობა აშენებულია იმავე მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ეკლესიის მთავარი შენობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ მიწის ნაკვეთს მოპასუხე 2012 წლიდან ფლობს. მთავარ და მეორე ნაგებობებს შორის დისტანცია 6 მეტრია.

მოპასუხე მოსარჩელეს რეგულარულად უზიარებდა ინფორმაციას ნაგებობის არქიტექტურული პროექტისა და მიმდინარე მშენებლობის შესახებ, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ მოპასუხემ არ იცოდა, როგორ შეიძლებოდა ამუშავებინა წარმოება, ვინაიდან, მან იცოდა, რომ ისინი საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისთვის განკუთვნილ მრავალფუნქციურ დამხმარე ნაგებობას აშენებდნენ, რომელიც გამოყენებული იქნებოდა რელიგიური აქტივობების, სასწავლო პროგრამებისა და ახალგაზრდული საგანმანათლებლო კურსებისათვის, სადაც, საამისო სურვილის არსებობის შემთხვევაში, სამომავლოდ, მოსარჩელეს მცირე წარმოების ამუშავება შეეძლებოდა.

მოსარჩელე საქართველოს 2017 წლის ნოემბერში ეწვია და დარჩა 4 თვით, რა დროის განმავლობაშიც იგი საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის შენობაში ცხოვრობდა და თვალს ადევნებდა იმავე ტერიტორიაზე განლაგებული მეორე ნაგებობის მშენებლობის პროცესს.

როგორც მოპასუხე მხარე და საქმეში არსებული მტკიცებულებები მიუთითებენ, მეორე ნაგებობა აშენდა როგორც ეკლესიის საკუთრება, საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის

საგანმანათლებლო ცენტრი. ნაგებობის პირველ სართულს მოსარჩელე, როგორც მისიონერი, გამოიყენებდა ბატი-ბუტის საწარმოს გასახსნელად, დაასაქმებდა იქ ეკლესიის წევრებს, ხოლო მიღებულ შემოსავალს შესწირავდა სხვადასხვა საეკლესიო პროექტებს.

მოსარჩელე მხარე ადასტურებს, რომ მხარეები ნამდვილად იყვნენ შეთანხმებულნი მოპასუხის საკუთრებაში მყოფი ეკლესიის ტერიტორიაზე მეორე ნაგებობის მშენებლობის თაობაზე თუმცა, იგი მიუთითებს, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, მასში ბატიბუტის საწარმოს ამუშავების ვალდებულება ეკისრებოდა მოპასუხეს, ეკლესიის პასტორს და არა თავად მას. მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, ეკლესიის ტერიტორიაზე მდებარე ეს ნაგებობა (მეორე შენობა) საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელის ბიზნეს კომპანიისთვის. საუბარია შპს GPM-ზე, რომელიც 2015 წლის 22 სექტემბერს, მოსარჩელე პარკმა დაარეგისტრირა და რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იგი თავად იყო. მოსარჩელის მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი დამოწმებული დოკუმენტი ადასტურებს, რომ მოსარჩელე კომპანიის დასარეგისტრირებლად უფლებამოსილებას მის ძველ პარტნიორს ანიჭებს. კომპანიის ოფიციალურ მისამართად სწორედ ამ პარტნიორის რუსთავეში მდებარე ბინის მისამართი განისაზღვრა. ამ კომპანიის წილის მფლობელი და თანადირექტორი (მოსარჩელესთან ერთად), მოსარჩელის არაერთი თხოვნით, 2017 წლის 7 სექტემბერს, პასტორი ზაალ ტყეშელაშვილიც გახდა. ამასთან, მოსარჩელემ მას განუმარტა, რომ ეს პროცედურა საჭირო იყო, რათა პასტორი დახმარებოდა ორგანიზაციის ადმინისტრირებაში და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, მისი საქართველოში ხშირად არყოფნისა და ენობრივი ბარიერის გამო.

8. გარემოებებისა და მოსარჩელის დამოკიდებულების ცვლილება

მოსარჩელე საქართველოს 2017 წლის 3 ნოემბერს ეწვია. 2018 წლის 23 თებერვლამდე იგი საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლში ცხოვრობდა, მონაწილეობას იღებდა საეკლესიო მსახურებაში და თვალს ადევნებდა მეორე ნაგებობის მშენებლობის პროცესს, რომელიც იმავე ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის შენობაში მოსარჩელის ცხოვრების პერიოდში, საშობაოდ, საქართველოს ასევე ეწვივნენ მოსარჩელის მეგობრები საკუთარი ოჯახებით სამხრეთ კორეიდან და ეკლესიის შენობაში რამდენიმე კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ყველა მათგანი მონაწილეობდა საეკლესიო მსახურებებში და კმაყოფილები იყვნენ მოპასუხესა და ეკლესიის წევრებთან ურთიერთობით.

მოსარჩელის დამოკიდებულება 2018 წლის იანვრიდან შეიცვალა. ამ პერიოდში ის ღებულობდა სატელეფონო ზარებს ადამიანებისგან, რომლებსაც, სავარაუდოდ, მანამდე არ იცნობდა. ამის შემდეგ, მან დაიწყო მტკიცება, რომ გარკვეული ადამიანები მას დაეხმარნენ,

გაეცნობიერებინა, რომ საქართველოს ევანგელისტური ეკლესია სინამდვილეში არ არის ეკლესია, რადგან არ აქვს იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაცია. 2018 წლის 23 თებერვალს, მოსარჩელე პარკმა, საკუთარი ინიციატივით, დატოვა ევანგელისტური ეკლესია და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. მიუხედავად მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილის მხრიდან არაერთი მოთხოვნისა, დალაპარაკებოდა და აეხსნა საკუთარი პრეტენზიები, მოპასუხემ არჩია, არ ესაუბრა პასტორ ზაალთან და ევანგელისტური ეკლესიის წევრებთან.

ამ პერიოდიდან, მოსარჩელე კომუნიკაციას აგრძელებდა მოპასუხესთან მხოლოდ ელექტრონული ფოსტითა და მოკლე ტექსტური შეტყობინებებით. იგი პასტორისგან მოითხოვდა იმ საეკლესიო შემოწირულობების დაბრუნებას, რომელიც ეკლესიამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღო, ასევე პასტორის შეხვედრას პირებთან, რომლებიც თავს მოსარჩელის წარმომადგენლებად ასახელებდნენ.

მართლაც, პასტორ ზაალ ტყემელაშვილს რამდენჯერმე დაუკავშირდნენ სხვა პირები, რომელთა ვინაობას ამ ეტაპზე არ ვასახელებთ, და პარკისთვის ფულის გადაცემა მოითხოვეს. პასტორ ზაალ ტყემელაშვილის შეფასებით, საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისაგან სრულიად დისტანცირებული პირების ვიზიტი და მათი არაბუნებრივი, დაჟინებული აქტიურობა, ნეგატიურად ჩარეულიყვნენ ევანგელისტური ეკლესიის შიდა საქმეებში, იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ისინი არ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

პასტორ ზაალ ტყემელაშვილის გადმოცემით, ეკლესიის წევრებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ეს იყო მათ საეკლესიო სივრცეში სრულიად უცხო და არაუფლებამოსილი პირების შეჭრა, რომელიც ეკლესიის პასტორის დისკრედიტაციას და მრევლზე ზეგავლენის მოხდენას ემსახურებოდა.

9. მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი სავარაუდოდ ყალბი დოკუმენტები

შემოწირულობების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 65%) პასტორ ზაალ ტყემელაშვილის ანგარიშზე სამხრეთ კორეაში მცხოვრები პირების (სავარაუდოდ, პასტორების) პირადი ანგარიშებიდან გადაირიცხა 2015 წლის მაისიდან 2017 წლის ივნისის პერიოდში. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ეს ტრანზაქციები შესაძლებელი გახდა სპეციალური “დავალებების ხელშეკრულებების” შედეგად, რომელიც მან სამხრეთ კორეელ პასტორებთან გააფორმა. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა ამ სავარაუდო ყალბი ხელშეკრულებების ასლები, რომლებიც შეტანილია საქმის მასალებში. **(იხილეთ დანართი 2)**

მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2014 წელს, მოსარჩელე პარკი და მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილი ვერბალურად შეთანხმდნენ, რომ ისინი იქნებოდნენ ბიზნეს-პარტნიორები. ამ

ე.წ. შეთანხმების თანახმად, მოსარჩელეს უნდა გამოეგზავნა მოპასუხესათვის თანხები, რათა ამ უკანასკნელს მოსარჩელისათვის საქართველოში აქვინებინა პოპკორნის საწარმო. მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება ამ არგუმენტის დამადასტურებლად.

ამ სავარაუდო ყალბი დოკუმენტებით, მოსარჩელე მხარემ განიზრახა მოტყუებით დაემტკიცებინა, რომ თითქოს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ბიზნეს ურთიერთობა დაიწყო 2014 წელს და გამოიყენა ეს ე.წ. „დავალების ხელშეკრულებები“, როგორც „ბიზნეს ტრანზაქციების“ მტკიცებულება.

მოსარჩელემ სასამართლოში წარმოადგინა ორი მსგავსი „დავალების ხელშეკრულება“, სადაც ბიუნგ ჩან პარკი უფლებას აძლევს სამხრეთ კორეელ ლ.ნ.-ს და ლ.ს.-ს, გადარიცხონ თანხები ზაალ ტყემელაშვილის (მოპასუხე) პირად ანგარიშზე. დოკუმენტის თანახმად, ამ პირებს დავალების შესრულებისათვის გადაუხადა 300 აშშ დოლარი.

როდესაც მოპასუხე მხარემ სასამართლოში მიუთითა ე.წ. დავალების ხელშეკრულების დადების დროისა და მასში მითითებულ სხვა შეუსაბამობებზე, **მოსარჩელე მხარემ შეცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ მოსარჩელე პარკი, 2014 წელს სამხრეთ კორეელ პასტორებთან ზეპირად შეთანხმდა, ხოლო შეთანხმება წერილობით და ნოტარიულად მოგვიანებით, 2018 წელს გააფორმა.**

მოსარჩელე მხარემ სასამართლოში ვერ წარმოადგინა ამ „დავალების ხელშეკრულების“ ორიგინალი ვერსია, მიუხედავად მოპასუხე მხარის მოთხოვნისა.

„დავალების ხელშეკრულებაში“ დამატებითი საექვო დეტალები მიუთითებს, რომ ისინი სავარაუდოდ ყალბია:

- ხელშეკრულების მთლიანი სტილი და შინაარსი შეუსაბამოა;
- დოკუმენტის დასაწყისში წერია, რომ ხელმოწერის ადგილია სამხრეთ კორეა, თუმცა ხელშეკრულება დამოწმებულია ამერიკის შეერთებული შტატების სანოტარო ბეჭდით;
- დოკუმენტს ახლავს მხოლოდ ნოტარიუსის ბეჭედი და არ ერთვის ნოტარიუსის ხელმოწერა, თარიღი ან/და სანოტარო აქტი;
- დოკუმენტის დასაწყისში მითითებულია ერთადერთი თარიღი, 2014 წლის 1 ოქტომბერი, თუმცა მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ის ხელმოწერილი და დამოწმებულია 2018 წელს;
- პასპორტებითა და ოფიციალური დოკუმენტაციით, მოსარჩელის სახელია Chan (Byung Chan Park), თუმცა ამ ხელშეკრულებებში წერია, როგორც Chang;
- ამ დოკუმენტებში წერია მოსარჩელის ID, თუმცა მითითებულია მოსარჩელის ორი პასპორტის ნომერი, გაცემული 2 კვირის შუალედით. ერთი პასპორტი გაცემულია 2015 წლის 1 ოქტომბერს, მეორე პასპორტი კი 2015 წლის 15 ოქტომბერს. ამასთან

ერთად 2014 წელს, დავალების ხელშეკრულების გაფორმებისას მოსარჩელეს ჰქონდა სულ სხვა პასპორტი, სხვა პასპორტის ნომრით.

საბუთების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, 2019 წლის ნოემბერში, მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურას მიმართა. სამ წელზე მეტი გავიდა ამ მიმართვის შემდგომ, თუმცა შედეგი არ დამდგარა. გამომძიებელმა მოპასუხე მხარეს აცნობა, რომ ამ ფაქტების გამოძიება რთულია პარკის (მოპასუხის) საქართველოში არყოფნის გამო.

საგამოძიებო სისტემის უმოქმედოება მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს არ აქვს სურვილი და განზრახვა, ჩაატაროს ადეკვატური გამოძიება. სასამართლო სისტემამ კი მოსარჩელის ეს სავარაუდო ყალბი დოკუმენტები არა მხოლოდ უგულვებელყო, არამედ დაეყრდნო მათ ეკლესიისა და მისი პასტორისთვის საზიანო გადაწყვეტილების მისაღებად. 90,000 აშშ დოლარიდან, რომლის გადახდაც მოსარჩელე ბიუნგ ჩან პარკისთვის სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილს დააკისრა, 70,000 აშშ დოლარი სწორედ ამ ორი სამხრეთ კორეელი პასტორის მიერ გადმორიცხული შემოწირულობებია.

გარდა ამისა, მოპასუხე მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, დაევალებინა მოსარჩელისათვის ორიგინალი ხელშეკრულებების წარდგენა, ასევე მოწმეებად გამოეძახებინა სამხრეთ კორეელი ლ.ნ. და ლ.ს., მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის ეს შუამდგომლობებიც.

10. შემოწირულობები და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა

მოსარჩელები პარკი და მისივე ორგანიზაცია 12 Baskets-ი პასტორ ზაალ ტყემელაშვილისგან ითხოვენ 2015-2017 წლებში ჩარიცხულ თანხას, 199, 232 აშშ დოლარს. მნიშვნელოვანია, რომ ამ თანხის, 60% გადმოირიცხა ორი სამხრეთ კორეელი პირის (პასტორების), 30% ორგანიზაცია 12 Baskets-ის, ხოლო მხოლოდ 10% მოსარჩელის პირადი ანგარიშიდან.

არაერთი მტკიცებულებით დასტურდება, რომ პარკის მიერ მოთხოვნილი ეს თანხები განკუთვნილი იყო სამლოცველო სახლის ასაშენებლად და რომ მისი 90% მოხმარდა ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლის (პირველი შენობა) დასრულებას და მოწყობას, ხოლო 10% მეორე დამხმარე მულტიფუნქციური ნაგებობის მშენებლობას.

ხაზგასასმელია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე პარკის არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ყველა გადარიცხვა გაიხარჯა გონივრულად, მიზნობრივად და მოპასუხეს არ დაეკისრა მოსარჩელის მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება.

გარემოებები შეიცვალა მეორე ინსტანციის - თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც სასამართლომ დაუსაბუთებლად, მათ შორის მოსარჩელის სავარაუდოდ ყალბ დოკუმენტებზე დაფუძნებით, პასტორ ზაალ ტყეშელაშვის დააკისრა თანხის ნაწილის, 90,000 აშშ დოლარის მოსარჩელისთვის გადახდა.

11. სასამართლო

➤ თბილისის საქალაქო სასამართლო

მოსარჩელე ბიუნგ ჩან პარკმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 6 მარტს მიმართა.

მოსარჩელე ითხოვდა, ზაალს ტყეშელაშვილს დაკისრებოდა წლების განმავლობაში შემოწირულობის სახით მიღებული თანხის (ჯამურად 199,232 აშშ დოლარის) ბიუნგ ჩან პარკისა და მისი არასამთავრობო ორგანიზაცია “12 Baskets“-ის სასარგებლოდ გადახდა, ასევე, მათი მტკიცებით, მოპასუხისთვის მიზარებული მანქანა-დანადგარების, კერძოდ 19 ერთეული საწარმო მანქანისა და ერთი პროდუქციის მრევის ბიუნგ ჩან პარკისთვის გადაცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ცისანა სირბილაძემ გადაწყვეტილება გამოაცხადა 2020 წლის 13 მარტს. გადაწყვეტილების თანახმად:

- სასამართლომ მიიჩნია, რომ “სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამებია სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს”;
- არ დასტურდება მოსარჩელეთა ხარჯზე მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრება;
- **შესაბამისად, ბიუნგ ჩან პარკისა და 12 Baskets-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;**
- სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოპასუხე ზაალ ტყეშელაშვილი ნამდვილად არის არარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანების პასტორი, მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება კი წარმოადგენს ამ გაერთიანების წევრების სამლოცველო ადგილს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ “*მოსარჩელის მიერ ზაალ ტყეშელაშვილის ანგარიშზე გადარიცხული თანხების ერთმნიშვნელოვნად საქველმოქმედო მიზანი უდავოდ დადგენილია, რასაც მოსარჩელე ფაქტობრივ გარემოებებში (ელექტრონულ წერილებში) თავად ადასტურებს*”.

ამასთან, სასამართლომ დასძინა, რომ “*ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, თუ რა ხერხით მოხდა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება, სასამართლომ*

დადგენილად მიიჩნია - გაღებული სახსრების შემოწირულობის სახით განხორციელება და ამ შემოწირულობის მიზნის შედეგად დამდგარად მიიჩნია. შესაბამისად, შეუძლებელია კონდიციური ვალდებულების არსებობა, რადგან საფუძვლის გარეშე არ გამდიდრებულა არც ზაალ ტყემელაშვილი და არც რელიგიური გაერთიანება.”

დამატებით, როგორც სასამართლომ მიუთითა, “დადგენილია, რომ მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ქარხანა, რელიგიური ორგანიზაციის წევრების დასაქმებისათვის აშენებულია და მზადაა ექსპლუატაციაში გასაშვებად.”

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პასტორ ზაალ ტყემელაშვილს არ დაეკისრა მოსარჩელის მიმართ თანხის გადახდა სასარჩელო მოთხოვნის არც ერთ ნაწილში.

➤ სააპელაციო სასამართლო

2020 წლის პირველ მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2022 წლის 9 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ, მოსამართლეების - მერაბ ლომიძე, გია ბერაია და გელა ქირია - შემადგენლობით, გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოპასუხე ზაალ ტყემელაშვილს 90,000 აშშ დოლარის, ასევე, მოსარჩელე მხარის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების (5,500 ლარამდე) გადახდა დააკისრა.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისა და უშუალოდ დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სააპელაციო განხილვის ეტაპზე სასამართლომ ვერ უზრუნველყო სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვა. მოპასუხე მხარისთვის აშკარაა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლო მოსარჩელე მხარისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ავლენდა, ამასთან, სრულყოფილად არ გამოიკვლია მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული პრინციპების გვერდის ავლით, მცდარად (და რელიგიური გაერთიანების ინტერესების საწინააღმდეგოდ) განმარტა მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შინაარსი. გარდა ამისა, სასამართლომ უგულებელყო მოსარჩელის არგუმენტებში არსებითი შეუსაბამობების არსებობის ფაქტი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში გამოვლენილი არაერთი ფაქტობრივი უზუსტობა, რომელიც აცდენილია საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და მთლიანად სასამართლოს მიერ

განვითარებულ არსებითად მცდარ ანალიზს ეყრდნობა. რაც ყველაზე საგანგაშოა, სააპელაციო სასამართლო მისი საბოლოო დასკვნის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად სწორედ ამ ტიპის არსებითად მცდარ “ფაქტს” იშველიებს.

ამდენად, მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს არსებითი მნიშვნელობის არაერთ ხარვეზს, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ თავად მოსარჩელე არც ერთ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა. წარმომადგენლობისა და სამართალწარმოების პროცესი სრულად წარიმართა მისი ქართველი წარმომადგენლების მიერ.

2022 წლის 8 დეკემბერს, ზაალ ტყეშელაშვილმა (წარმომადგენლები - ა(ა)იპ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მისი იურისტები - შოთა თუთბერიძე და საბა ელიზბარაშვილი) გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. სარჩელის დასაშვებობის საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება ამ დრომდე (2023 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით) არ მიუღია.

12. კონტექსტისთვის: სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი საქართველოში

მოპასუხე მხარესა და მის წარმომადგენლებს აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმე არ არის ჩვეულებრივი სამოქალაქო დავა. ყველა ფაქტი მიუთითებს, რომ ეს არის საექვო სამოქალაქო დავით შენიღბული ქმედება, რომლის მიზანია შეილახოს პასტორისა და რელიგიური გაერთიანების რეპუტაცია. ეს მცდელობა მიზნად ისახავს, ევანგელისტურ ეკლესიას წაართვან მისი საკუთრება, ერთადერთი სამლოცველო ადგილი, გაუუქმონ რელიგიური ორგანიზაციის ავტონომია და საფრთხე შეუქმნან მის დამოუკიდებელ გაერთიანებად არსებობას.

აღსანიშნავია, რომ რელიგიური გაერთიანებები, კონკრეტულად კი რელიგიური უმცირესობები, უამრავ სისტემურ პრობლემას აწყდებიან საქართველოში. ხშირად ხელისუფლება მათ ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნის. ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების მიმართ სულ უფრო მეტად საგანგაშო ხდება. ხელისუფლება მუდმივად ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას,

უგულებელყოფს თანასწორობის პრინციპს, აღრმავებს დისკრიმინაციას რელიგიურ ჯგუფებს შორის, და ზრდის მათზე კონტროლს.⁹

2014 წელს დაფუძნდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული ამ სტრუქტურის საქმიანობამ აჩვენა, რომ ხელისუფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხს განიხილავს აბსტრაქტული უსაფრთხოებისა და არა ადამიანის უფლებების კრილში. ეს ხედვა აისახა 2015 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც, „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია“.

შექმნის დღიდან, სააგენტო გამუდმებით უარყოფით როლს ასრულებს რელიგიური უმცირესობების მიერ სალოცავების მშენებლობის, რელიგიური ლიტერატურის საზღვარზე შემოტანისა და გავრცელების, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მცდელობის პროცესში, და უკანონოდ ერევა რელიგიური უმცირესობების ავტონომიაში.¹⁰

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება/სააგენტო მუდმივად მოქმედებენ გამჭვირვალე და თანასწორობაზე დაფუძნებული ინტერრელიგიური პლატფორმის, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წინააღმდეგ. სწორედ ამ საბჭოს აქტიური წევრი და თანადამფუძნებელი არის მოპასუხე მხარე, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია. ევროპის საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტის ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) საქართველოზე მესამე მონიტორინგის ანგარიშში (2019) აღნიშნულია¹¹: *“რელიგიური უმცირესობები... გამოხატავენ უნდობლობას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ. ისინი ნდობას უცხადებენ სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს საქმიანობას. შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს ამ დამოუკიდებელი, პლატფორმის არსებობა, რომელშიც 33 რელიგიური ორგანიზაციაა გაერთიანებული”*.

2021 წელს სახელმწიფოს მიერ სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მიყურადების შესახებ გამოქვეყნებულმა მასალებმა თვალსაჩინო გახადა სახელმწიფოს მცდელობა, გააკონტროლოს და დისკრედიტაცია გაუკეთოს რელიგიურ გაერთიანებებს, ორგანიზაციებს და ადამიანებს, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობენ საქართველოში კონსტიტუციისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად¹². არაერთხელ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე

⁹ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2010-2019, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-reliigis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

¹⁰ Georgia: Religious Freedom Survey, Forum 18, 2020 https://www.forum18.org/archive.php?article_id=2613

¹¹ ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56?fbclid=IwAR0Hmzw9vtSyyIlg-54T9muRaAnA4xybJFh1fTVKrQvROxqS7IGX3a0dybqA>, TDI-ის მიერ მომზადებული მიმოხილვა ანგარიშის შესახებ <http://tdi.ge/ge/news/731-fcnm-angarishi-sakartveloze-reliigis-tavisuplebis-sakitxebis-mimoxilva>

¹² TDI-ს განცხადება გავრცელებულ უკანონო ჩანაწერებზე: <http://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-gavrcelebul-ukanono-chanacerebze>

დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება უსმენს რელიგიურ ჯგუფებსა და მათ ლიდერებს, აგროვებს და ინახავს მათ პირად საუბრებს, მიმოწერას, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციას. მასალები შეიცავს მათი პირადი ცხოვრების, მათი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომ ხელისუფლება მოქმედებს დამოუკიდებელი რელიგიური გაერთიანების, საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის და მისი საჯარო გამოსვლებით გამორჩეული პასტორის წინააღმდეგ.

დარღვეული უფლების აღდგენისა და სამართლის პოვნის შესაძლებლობისთვის, საჭიროა არსებობდეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა საქართველოში. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიმართ უკმაყოფილება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზეც მუდმივად მიუთითებენ სამოქალაქო საზოგადოება, სახალხო დამცველი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულების ბოლო წლიურ ანგარიშში ევროპარლამენტმა “სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სასამართლო რეფორმა შეჩერდა და რამდენიმე ძირითად სფეროში რეგრესიც განიცადა”.¹³

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2020-2022 წლების ყოველწლიურ ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ „შემაშფოთებელია, საქართველოს სასამართლო დამოუკიდებლობის ნაკლებობა და სასამართლო სისტემაში პოლიტიკური ჩარევა, განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეებში.“¹⁴

„მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონი უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას, მაინც რჩება მითითებები და ჩარევები სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. მოსამართლეები დაუცველნი იყვნენ პოლიტიკური ზეწოლისგან, როგორც სასამართლო სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ იმ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურად მგრძნობიარე თემებს ან პირებს“.¹⁵ აღნიშნულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

¹³ ანგარიში ხელმისაწვდომია, https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0442_EN.pdf?fbclid=IwAR13FV-rC8wiBN8pZEwdLH59BCK1cen0loKHKNiHEZefmruthgXT6OAhXmk

¹⁴ ანგარიში ხელმისაწვდომია, <https://www.state.gov/reports/2022-investment-climate-statements/georgia/>

¹⁵ <https://www.state.gov/reports/2021-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>

დანართები

დანართი 1. ფლავრები, ევანგელისტური ეკლესიის მიმდინარე მშენებლობისა და პასტორ ზაალის ოჯახის ფოტოებით, რომლებსაც მოსარჩელე პარკი აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ეკლესიებში ავრცელებდა საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისთვის შემოწირულობების შესაგროვებლად

Prayer Net Work for His Glory

God works before us
Heaven, let us pray for God and His people
Heaven, let us pray for the church and for the
Heaven, let us pray for the church and for the
Heaven, let us pray for the church and for the
Heaven, let us pray for the church and for the

When we compare between the current events throughout the world and the warning messages that Jesus told us in Matthew 24 concerning what would happen in the end time, we cannot help but notice that the coming of the Lord is very near. It is no exaggeration to say that we, as servants of God, should keep watch and pray so that we do not fail to be instruments, through which God acts for His kingdom. We are privileged and honored to be called God's fellow workers. It is natural to say that we should glorify God by obeying His commandment, "Go, therefore and make disciples of all the nations, baptizing them in the name of the Father and the Son and the Holy Spirit, and teaching them to obey everything I have commanded you. And surely I am with you always, to the very end of the age." (Matthew 28: 19-20). We believe that God wants us to become truly united in Christ as a community of believers with one heart and soul. It might be the very thing that God has been seeking for in order to pour out such a measure of blessing upon us that we can not contain it. We want to be with you in prayer, to share with you what God has put into your hearts. I am concluding this letter, hoping that we become brothers and sisters who work together to complete the task that the Lord Jesus has given us: the task of building to the good news of God's grace. May Peace and Grace of God be with you.
I pray in the name of Jesus Christ.

Please pray for the churches which are being built by the will of God in Georgia. Pray with us that the true message of the gospel be proclaimed and preached as it should be. Pray for Pastor David who has been praying for the Lord of Georgia for 33 years.

The main theme of my prayer is that we may all be one! My goal is to see the body of Christ united and ready to face the events which are ahead, to finish the race and then to be taken in His presence. I pray for Atlanta, for this new church we are sending them for the Lord to prepare the way for them, and also the other four ministers who are already there to be blessed with much fruit. I pray for Bulgaria as well. We have three ministers on staff there who along with other members share some heavy burdens. I pray for Turkey which the Lord opened for us to minister recently for the city of Marmara and Istanbul. I pray for Georgia to open more to the Gospel, pray for South Korea, and the precious people of God there. I pray for my country Greece, that the Lord will visit us in power and might. We pray for the revival to break out, for new fresh anointing to come upon our churches and all the land.

Letter from the director of the shelter who are in charge of the ministry that takes care of approximately 100 homeless people that are socially marginalized in South Africa.

We would like to formally extend our gratitude and would really like to let you know how much we appreciate the donation you made to build the shelter shelter for the homeless. It is nice to find such a kind and open heart in society today. With your help we were able to go to pay for the much-needed parts to fix one of our vehicles, which plays an integral part in assisting our shelter with food, transporting people, etc. This money also assisted in paying our electricity bill, which due to higher tariffs has been a challenge to come by lately. As a functioning Christian organization we are all of our hope and faith in God to provide for us on the daily needs and therefore we are so extremely thankful that He has worked in your heart to make such a generous donation and we pray that you will receive 70 times this return. We are in the process of expanding our facilities to accommodate more people, due to a growth in demand. We look forward to working with you in the future and if we can help in any way, please do not hesitate to contact us.

Reverend Jonathan and his wife Deborah serve Vietnamese women at Lighthouse Church located in Graham in South Korea. They both are born of Vietnamese families that have faithfully served the Lord for generations. They migrated from the church in Chicago where they have been faithful servants of God and they came to Korea. Because they had a hope that approximately 250,000 Vietnamese women in Korea hear the gospel and become the children of God. Their ministries include planting churches in various cities such as Chungcheong, Mianan and Ulsan and nurturing people who they wish to become true disciples of Jesus. They pray that these Vietnamese people return to their country with the gospel so that their nation becomes evangelized.

Hakub Kim is a pastor of U.S. Army and he is a very faithful servant of God. He is willing to go anywhere that the Lord wants him to go. He preaches the gospel to the soldiers in the army where many sinners could be won.

South Africa: John and Susan with whole family
Georgia: Pastor David, Pastor Nino, Sharmela, Grace church
U.S.A.: David, Eun, Pastor Nery, Pastor Hakub Kim
Korea: Elder Lee Hwan, Deaconess Choi, Lee Hyeonjeun
Vietnam: Pastor Jonathan, Deborah, Lighthouse church

Prayer

2020.05.10

დანართი 2. მოსარჩელე პარკის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი სავარაუდოდ ყალბი
“დავალების ხელშეკრულებები”

Assignment Agreement

South Korea

October 1, 2014

On the one hand Byung Chang Park (ID: [REDACTED], hereinafter the Principal

and

on the other hand [REDACTED] (Passport No: [REDACTED] Personal No: [REDACTED] hereinafter
the Attorney, hereby concluded the present agreement on following:

1. Subject of the Agreement

1.1. By this Agreement, the Attorney is authorized to make bank transfers to Zaal
Tkeshelashvili (P/N [REDACTED] and for this purpose the Principal gives the Attorney
95000 (Ninety five thousand) USD (hereinafter the Assignment).

1.2. Rights and liabilities in regard with any bank transfers made by the Attorney are
directly incurred to the Principal.

2. Payment

For the assignment to be performed, the Principal shall pay the Attorney 300 (three hundred)
USD.

3. Obligations of the Parties

3.1 The Attorney is obliged to:

3.1.1 perform the assignment personally, in accordance with instructions of the Principal;

3.1.2 perform the assignment honestly and in timely manner in order to not harm the
Principals' interests;

3.1.3 promptly provide the Principal with all information connected to the performance of
the assignment;

3.1.4 The Attorney is obliged, after expiration of the term determined by the Agreement, to
return unused funds remained from the amount indicated in the sub-paragraph 1.1. of the
Agreement to the Principal.

3.2 The Principal is obliged to:

3.2.1 fully reimburse expenses related to bank transfers made for the performance of the
assignment in full, if any.

4. Responsibilities of the Parties

The Parties of the Agreement are responsible to each other for any damage which may be occurred
as a result of non-fulfillment or improper fulfillment of obligations under the agreement by them.

5. Terms of the Agreement

5.1. The Agreement enters into force upon its signature and is valid until full fulfillment of obligations by the parties.

5.2. The Agreement may be terminated by the Principal at any time.

6. Miscellaneous

6.1. The Agreement is made in two copies, one for each party.

6.2. Foregoing agreement fully and clearly expresses the will of the parties in testimony whereof they sign this agreement

Principal

Byung Chang Park

(ID: [REDACTED])

Attorney

(Passport No: [REDACTED])

Personal No: [REDACTED]



[Handwritten signature of Byung Chang Park]

[Handwritten signature of Attorney]

Assignment Agreement

South Korea

October 1, 2014

On the one hand Byung Chang Park (ID [REDACTED]), hereinafter the Principal
and

on the other hand [REDACTED] (Passport No: [REDACTED], Personal No: [REDACTED])
hereinafter the Attorney, hereby concluded the present agreement on following:

1. Subject of the Agreement

1.1. By this Agreement, the Attorney is authorized to make bank transfers to Zaal Tkeshelashvili (P/N [REDACTED]) and for this purpose the Principal gives the Attorney 74232 (Seventy-four thousand two hundred and two) USD (hereinafter the Assignment).

1.2. Rights and liabilities in regard with any bank transfers made by the Attorney are directly incurred to the Principal.

2. Payment

For the assignment to be performed, the Principal shall pay the Attorney 300 (three hundred) USD.

3. Obligations of the Parties

3.1 The Attorney is obliged to:

3.1.1 perform the assignment personally, in accordance with instructions of the Principal;

3.1.2 perform the assignment honestly and in timely manner in order to not harm the Principals' interests;

3.1.3 promptly provide the Principal with all information connected to the performance of the assignment;

3.1.4 The Attorney is obliged, after expiration of the term determined by the Agreement, to return unused funds remained from the amount indicated in the sub-paragraph 1.1. of the Agreement to the Principal.

3.2 The Principal is obliged to:

3.2.1 fully reimburse expenses related to bank transfers made for the performance of the assignment in full, if any.

4. Responsibilities of the Parties

The Parties of the Agreement are responsible to each other for any damage which may be occurred as a result of non-fulfillment or improper fulfillment of obligations under the agreement by them.

5. Terms of the Agreement

5.1. The Agreement enters into force upon its signature and is valid until full fulfillment of obligations by the parties.

5.2. The Agreement may be terminated by the Principal at any time.

6. Miscellaneous

6.1. The Agreement is made in two copies, one for each party.

6.2. Foregoing agreement fully and clearly expresses the will of the parties in testimony whereof they sign this agreement

Principal

Byung Chang Park
(ID: [REDACTED])

Attorney

(Passport [REDACTED] Personal No: [REDACTED])



[Handwritten signature]

[Handwritten signature]